პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა 13 იანვარი
№ 10 (17655)
ფასი 2 კაპ.

ვიმუშაოთ ლენინურად, დამკვრელურად!

საქართველოს სსრ კარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

12 იანვარს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენება — „1979 წელს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1980 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და მთლიანად ხუთწლედის შესრულების ამოცანები“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მ. მოსკალენკო, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ე. ჩიგოგოძე, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ი. მარდანოვი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ვ. ქვილითაია, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. ვ. როსტაშვილი, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ა. ანდრონიკაშვილი, სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი გ. ი. ლოლაძე.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პაპაარიძე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV კრებისა და საქართველოს კომპარტიის XXV კრების გადაწყვეტილებებით, საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ისტორიული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის რჩევითა და მითითებებით, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესაბამისად შეამცირეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებელი, ზრდიდნენ ეროვნულ-ეკონომიკურ ეფექტიანობას, ამაღლებდნენ ეროვნული შემოსავლის, ინდუსტრიული წარმოების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ყოველგვარი მომსახურების, ყველა კატეგორიის მეურნეობებში მიწათმოქმედების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

რეალიზებულია მთლიანად საიჯარო სამშენებლო სამუშაოთა გეგმა, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების სრულიასლოტაციოდ გადაცემის გეგმები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა თანამიმდევრულად და განუხრელად ადგანან მტკიცე კურსს, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებას, სახელმწიფო, შრომის, საგეგმო და სავალუტო დისციპლინის განმტკიცებას.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც ყოველდღიურ საქმიანობას საფუძველად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე აღნახსენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული ღირებულებანი და დასკვნები, განსაზღვრეს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის პრობლემები, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ინტენსიური ამაღლების კონკრეტული გზები.

საქართველოს მშრომელები ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღფრთოვანება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ილიადმირ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის შესახებ“, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კომუნისტებს, კომკავშრომელებს, ყველა საბჭოთა ადამიანს დიდი ბელადის იუბილეს შეხვდნენ წარმატებებით კომუნიზმისათვის ბრძოლაში, გადაარჩინონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად მოსკოვისა და ლენინგრადის წარმოების მოწინავეთა ინიციატივით მთელ ქვეყანაში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში — საქართველოს დედაქალაქ თბილისში, სხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში გაიშალა პატრიოტული მოძრაობა, რათა 22 აპრილისათვის შესასრულონ პირადი წლიური საწარმოო დავალებები. ფართოდ გავრცელდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ბელადის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

(დასასრული მე-2 გვ.)

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი

გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე

კითხვა. როგორ აფასებთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძე, ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას, განსაკუთრებით ამერიკის ადმინისტრაციის უკანასკნელი ნაბიჯების შემდეგ?

პასუხი. ჩვენი პარტიის მიერ მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, სკკპ XXIV და XXV კრებებზე წამოყენებული მშვიდობის პროგრამის განხორციელების კურსის თანამიმდევრულმა და შემოქმედებითმა გატარებამ ბევრი მიღწევა მოგვაპოვებინა. თუ ფართოდ განვავრცობთ, ფთავარი, რისი მიღწევაც შევძელით, ის არის, რომ გავწყვიტეთ ტრაგიკული ციკლი: მსოფლიო ომი — ხანმოკლე მშვიდობისა ხულისმოთქმა — და კვლავ მსოფლიო ომი. ამ ისტორიული შედეგით სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, შეუძლიათ იამაყონ ჩვენს მეგობრებს — მეძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, ყველას, ვინც იბრძოდა და იბრძვის მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

მაგრამ 70-იანი და 80-იანი წლების შესაყარზე საერთაშორისო ვითარება, სამწუხაროდ, საგრძნობლად გართულდა. და ხალხებმა უნდა იცოდნენ სიმართლე — ვინ აგებს პასუხს ამისათვის. დაუფარავად ვიტყვი — ეს იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა კი ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების ბრალია. იმათი ბრალია, ვინც დაძაბულობის შენელებას მიიჩნევს თავისი აგრესიული ზრახვების, მილიტარისტული ფიქრების გაღვივების, სხვა ხალხების სანინო საქმეებში ჩარევის დაბრკოლებად. იმათი ბრალია, ვისაც ძალ-რბილში აქვს გაჰყდარი ჩვეულა უბოდიშოდ ექცეოდეს სხვა სახელმწიფოებს, ისე პარპაშებდეს საერთაშორისო ასპარეზზე, თითქოს ყველაფრის უფლება ჰქონდეს.

ეს ბოლო ხანებია აშკარად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხელმძღვანელი წრეები დაადგნენ დაძაბულობის შენელების საქმისადმი მტრულ კურსს, გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსს, რასაც შედეგად მოსდევს ომის საფრთხის გაძლიერება. ამას დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ 1978 წელს, ნატოს საბჭოს მაისის სესიაზე ვაშინგტონში, სადაც დაამტკიცეს — ამ ბლოკის წევრი ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების ავტომატური ზრდა XX საუუნის ბოლომდე. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მილიტარისტული ტენდენციები უკანასკნელ ხანს გამოხატულებას პოულობს აგრეთვე შეიარაღების ახალი გრძელვადიანი პროგრამების დაჩქარებით, ახალი სამხედრო ბაზების შექმნით შორს ამერიკის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთის ოკეანის რაიონში. ეგრეთ წოდებული „სწრაფი რეაგირების კორპუსის“ ჩამოყალიბებით, რომელიც სამხედრო ჩარევის პოლიტიკის ინსტრუმენტია.

ანდა, აიღეთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც არის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულება. მისი განხორციელება გზას გაგვიხსნიდა დიდი ნაბიჯის გადასადგმელად განიარაღების დარგში. ამ ხელშეკრულებამ, როგორც ცნობილია, მხარდაჭერა პოვა მთელ მსოფლიოში, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეებს შორის, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო წრეებში. როგორ მოექცა მას ჯ. კარტერის ადმინისტრაცია? ის-ის იყო ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ლანძღვა დაუწყეს, ხოლო ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წრეების წაყრუებით — რატიფიკაციის პროცესს არსებითად ომისთვის იყენებენენ, რომ უარეს ხად გაუძღელებინათ ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამ რამდენიმე დღის წინათ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების განხილვის გაურკვევლი ვადით გაყინვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით სენატორმა კარტერმა კიდევ ერთი შტრიხი დაუმატა ამ საძრახის პროცესს.

სწორედ შეერთებულმა შტატებმა მოახვია თავს 1979 წლის დეკემბერში თავის ნატოელ მოკავშირეებს გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საშუალო სიშორის ახალი რაკეტულ-ბირთვული საშუალებების განლაგების შესახებ, რასაც შედეგად მოსდევს გამალებული შეიარაღების ზრდის ახალი ეტაპი. თანაც ვაშინგტონი პირდაპირ პირში ბურთსა სჩრიდა იმ მოკავშირეებს, რომლებიც მოწადინებული იყვნენ დადებითად გამოხმაურებოდნენ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს ამ საკითხზე მოლაპარაკების შესახებ.

დღეს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ცდილობენ სპეკულაციურად გამოიყენონ ავღანეთის ამბები. ამ ამბებთან დაკავშირებით მოაზღვავეს სიცრუისა და ცილისწამების მთელი ნიაღვარი, ჩაღდება უტიფარი ანტისაბჭოური კამპანია. მაინც რა მოხდა ავღანეთში სინამდვილეში?

1978 წლის აპრილში ამ ქვეყანაში რევოლუციამ გაიმარჯვა. ავღანელმა ხალხმა საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი და დამოუკიდებლობის და თავისუფლების გზას დაადგა. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ისტორიაში, წარსულის ძალები რევოლუციას აუბზეკრდნენ. რა თქმა უნდა, ავღანელი ხალხი ამ ძალებს თვითონაც გაუმკლავდებოდა, მაგრამ რევოლუციის პირველი დღეებიდანვე წაყრუდა გარედან აგრესიას, თავის საშინაო საქმეებში უნდა ჩარევას.

ავღანეთის ტერიტორიაზე გზავნიდნენ ათასობით და ათიათასობით ხაზლარგარეთ გაწვრთნილ და შეიარაღებულ მეამბოხეებს, მთელ შეიარაღებულ შენაერთებს. იმპერიალისტმა თავის დამჭაშებთან ერთად არსებითად გამოუცხადებელი ომი დაუწყო რევოლუციურ ავღანეთს.

ავღანეთი მტკიცედ მოითხოვდა შეეწყვიტათ აგრესია, ეცლიათ მისთვის მშვიდობიანად ეშენებინა ახალი ცხოვრება. გარედან აგრესიის წინაშე ავღანეთის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ პრეზიდენტ თარაქის დროს, და შემდეგაც არაერთგზის სთხოვა დახმარება საბჭოთა კავშირს. ჩვენი მხრივ, ჩვენც ვფრთხილობდით ვისაც ჯერ არს, რომ თუ-აგრესია არ შეწყდებოდა, გასაჭირში არ მივატოვებდით ავღანელ ხალხს, არადა მოგეხსენებათ, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია.

ავღანეთის წინააღმდეგ აგრესორთა მოქმედებას ხელს უწყობდა ამინი, რომელმაც, როგორც კი ხელი იგდო ძალაუფლება, სასტიკი რეპრესიები გააჩაღა ავღანეთის საზოგადოების ფართო ფენების, პარტიული და სამხედრო კადრების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, მაჰმადიანური სამღვდელოების, ანუ სწორედ იმ ფენების წინააღმდეგ, რომლებსაც აპრილის რევოლუცია ეყრდნობოდა. და ხალხიც სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და მისი მეთაურის ბაბრაკ ქარმალის ხელმძღვანელობით აღდგა ამინის ტირანიის წინააღმდეგ და ბოლო მოუღო მას. დღეს ვაშინგტონსა და ზოგიერთ სხვა დედაქალაქში ამინს მისტრიან. და ეს განსაკუთრებით ნათლად აააკრავებს მათს პირფერობას. ხად იყვნენ ეს ბირისუფლები, როცა ამინი მასობრივ რეპრესიებს აწყობდა, როცა მან ძალით ჩამოშორა, უკანონოდ ფიზიკურად მოსპო თარაქი — ახალი ავღანური სახელმწიფოს დამაარსებელი?

განუწყვეტელმა შეიარაღებულმა ინტერვენციამ, გარეშე რეაქციის ძალების წრესგადასულმა შეთქმულებამ ავღანეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე იმპერიალისტთა სამხედრო პლაცდარმად გადაქცევის რეალური საფრთხე შეუქმნა. სხვაგვარად რომ თქვათ, დადგა მომენტი, როცა აღარ შეიძლებოდა არ გამოვხმაურებოდით ჩვენი მეგობარი ავღანეთის მთავრობის თხოვნას. ეს რომ არ გვექნა, ნიშნავდა ავღანეთი იმპერიალიზმის საჯიჯგნად დაგვეტოვებინა, უფლება მიგვეცა აგრესიული ძალებისათვის აქ ის გაემეორებინათ, რაც მაგალითად, ჩილეში შექმენს, სადაც ხალხის თავისუფლება სისხლში ჩაახშეს. ეს რომ არ გვექნა, ნიშნავდა გულს ხელი დაგვეკრიფა მაშინ, როდესაც ჩვენს სამხრეთ საზღვარზე საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროებისადმი სერიოზული საფრთხის კერა იქმნებოდა.

როცა ჩვენ მოგვმართა, ავღანეთი ეყრდნობოდა სსრ კავშირთან 1978 წლის დეკემბერში დადებული მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მკაფიო დებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ყოველი სახელმწიფოს ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებას, რომელიც არაერთგზის გამოუყენებიათ სხვა სახელმწიფოებს.

ჩვენ ხელაღებით როდი გამოვიტანეთ გადაწყვეტილება ავღანეთში გაგვეგზავნა საბჭოთა სახმედრო კონტინგენტები. მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მოქმედებდნენ თავიანთი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, თვალისწინებდნენ გარემოებათა მთელ ერთობლიობას. საბჭოთა კონტინგენტების წინაშე დგას ერთადერთი ამოცანა—მოაგერიებინონ ავღანელებს გარედან აგრესია. და ამ კონტინგენტებს მთლიანად გამოვიყვანთ ავღანეთიდან, როგორც კი მოიხსპობა მიზეზები, რომლებმაც ავღანეთის ხელმძღვანელობა აიძულა ეთხოვა მათი შეყვანა.

იმპერიალისტური, აგრეთვე პეკინის პროპაგანდა შეგნებულად და ურცხვად ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის როლს ავღანეთის საქმეებში.

რა თქმა უნდა, არაკეთილი საბჭოთა „ინტერვენცია“ ან „აგრესია“ არც ყოფილა და არც არის. არის სხვა რამ: ჩვენ ახალ ავღანეთს მისი მთავრობის თხოვნისამებრ ვეხმარებით დაიცვას თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ღირსება გარედან შეიარაღებული აგრესიული მოქმედებისაგან. შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს ან უშიშროებას ოდნავადაც არ ეხება ავღანეთის ამბები. საქმის სხვაგვარად წარმოსახვის ყოველგვარი ცდა აბსურდია. ამ ცდებს განზრახ მიმართავენ, რათა გაიადვილონ საკუთარი იმპერიალისტური საწადელის მიღწევა.

აბსოლუტურად ცრუა აგრეთვე მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა კავშირს რაღაც ექსპანსიონისტური გეგმები ჰქონდეს პაკისტანის, ირანის ან ამ რაიონის სხვა ქვეყნების მიმართ. ჩვენთვის უცხოა კოლონიზატორთა პოლიტიკა და ფსიქოლოგია. სხვათა მიწებს არ ვეხარბებით, სხვათა დოვლათისაკენ თვალი არ გაგვირბის. ეს კოლონიზატორები არიან, ნათქოს სუნზე ნერწყვი რომ ადგებათ.

პირდაპირ ფარისევლობაა, რომ „მშვიდობისადმი საბჭოთა საფრთხეზე“ ლაყბობენ და საერთაშორისო მორალის დამცველებად მოაქვთ თავი იმათ, ვის სინდისზეც არის ბინძური ომი ვიეტნამის წინააღმდეგ; ვისაც ოთითიც არ გაუნძრევია, როცა შეიარაღებული ჩინელი აგრესორები სოციალისტურ ვიეტნამს შეეხივნენ; ვისაც რამდენიმე ათეული წელია სამხედრო ბაზა აქვს კუბის მიწა-წყალზე — მისი ხალხისა და მთავრობის ნების საწინააღმდეგოდ; ვინც იარაღს აუღარუნებს, ბლოკადით ემუქრება, აშკარა სამხედრო ზეგავლენას ახდენს რევოლუციურ ირანელ ხალხზე, და ირანის ნაპირებთან ჩამოაყენა ატომური იარაღით აღჭურვილი სამხედრო-საზღვაო არმადა, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ავიამზიდების მნიშვნელოვანი ნაწილი.

და უკანასკნელი, რაც უნდა მოგახსენოთ ამასთან დაკავშირებით. ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევა ნამდვილად ხდება, თანაც ამ მიზნით იყენებენ ისეთ მოდელ და პატივსაცემ დაწესებულებებს, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. მართლაც, სხვა რა არის, თუ არა ავღანელი ხალხის სუვერენულ უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ავღანეთის მთავრობის ნების საწინააღმდეგო ეგრეთ წოდებული „ავღანეთის საკითხის“ განხილვა.

ავღანეთის მთავრობა და მისი პასუხისმგებელი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხომ საქვეყნოდ აცხადებენ: დაგვანებეთ თავი, საბჭოთა ჯარების კონტინგენტები შემოყვანილია ჩვენი თხოვნით, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად.

ამასობაში კი, სარგებლობენ რა ატეხილი აურზაურით, სულ უფრო მეტ დახმარებას უწევენ იმ ელემენტებს, რომლებიც ავღანეთში იჭრებიან, აგრესიულ მოქმედებას სჩადიან კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. თეთრმა სახლმა ამ ცოტა ხნის წინათ აშკარად განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გაიფართოოს ამ ელემენტების მომარაგება სამხედრო აღჭურვილობითა და ყოველივე იმით, რაც მათ მტრული საქმიანობისათვის დასჭირდებათ. დასავლეთის პრესა იუწყება, რომ პეკინში მოლაპარაკების დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ჩინეთის ხელმძღვანელობას ეთათბირებოდა ასეთი მოქმედების კოორდინაციის შესახებ.

ავღანეთის თემის დასასრულს უნდა მოგახსენოთ, რომ ავღანეთის ამბებზე იმპერიალისტური ძალების მტრული რეაქცია სულაც არ ყოფილა ჩვენთვის მოულოდნელი. თავდადასავი ის არის, რომ იმპერიალისტებსა და მათს დამჭაშებს ხელი მოეცარათ მთავარში, რისი იმედითაც იყვნენ.

ერთი სიტყვით, ავღანეთის ამბები არ არის საერთაშორისო ვითარების ახლანდელი გართულების ნამდვილი მიზეზი. ავღანეთი რომ არ ყოფილიყო, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს გარკვეული წრეები უსათუოდ გამოიხრეკდნენ რაიმე სხვა საბაბს, მსოფლიოში სიტუაციის გასაფუჭებლად.

და ბოლოს, ავღანეთის ამბებთან დაკავშირებით ამერიკის ადმინისტრაციის მიერ გადადგმული ნაბიჯების მთელი ერთობლიობა, — სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების გაყინვა, ზოგიერთი სხვა დადებული კონტაქტის მიხედვით სსრ კავშირისათვის სხვადასხვა საქონლის, მათ შორის, მარცვლეულის მიწოდებაზე უარის თქმა, ორმხრივი ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებზე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების შეწყვეტა და ა. შ., — მოწმობს, რომ ვაშინგტონს მოუწადინებია კვლავინდებურად, როგორც ათწლეულების წინ, „ცივი ომის“ ენით დაგვიწყოს ლაპარაკი. ამასთან ჯ. კარტერის ადმინისტრაცია უპატივცემლობას იჩენს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოთაშორისო დოკუმენტებისადმი, არღვევს მეცნიერების, კულტურის, ადამიანური ურთიერთობის დარგში დამკვიდრებულ კონტაქტებს.

ვინ მოთვლის, ჩვენს ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა დარგში ურთიერთობის საკითხებზე მიღწეული რამდენი ხელშეკრულება, სამთავრობათშორისო შეთანხმება, მორიგება და ურთიერთგაგება დაურღვევია უკანასკნელ ხანს თვითნებურად და ცალმხრივად პრეზიდენტ კარტერის მთავრობას. ჩვენ, რა თქმა უნდა, იოლად გავალთ შეერთებულ შტატებთან ამა თუ იმ ურთიერთობის უქონლადაც — და საერთოდ არც არსებულს გვქონია რაიმე სახვეწარი, ვინაიდან მიგვაჩნდა, რომ ეს ურთიერთხელსაყრელი საქმეა და შეეხსაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ორმხრივ ინტერესებს — უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით.

მაგრამ ის გარემოება, რომ ვაშინგტონი თვითნებურად იჩემებს რაღაც „უფლებას“ — „დაჯილდოვოს“ თუ „დასჯოს“ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები, უკვე პრინციპულ საკითხს აყენებს. ამგვარი მოქმედებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფაქტობრივად ლაბარს სცემს სახელმწიფოთა ურთიერთობის საერთოდ უკვე მოწესრიგებულ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას.

კარტერის ადმინისტრაციის ასეთი მოქმედების შედეგად მსოფლიოში სულ უფრო მკვიდრდება წარმოდგენა, რომ შეერთებული შტატები—ეს არის ყოველად არასაიმედო პარტნიორი სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ეს არის სახელმწიფო, რომლის ხელმძღვანელობამაც რაიმე ეინის, ახირების ან ემოციური სიფიცხის, ანდა ვიწროდ გაგებული წუთიერი სარგებლობის მოსაზრებით შეიძლება ნებისმიერ მომენტში დაარღვიოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი, ჭარს გაკანონს მისივე ხელმოწერილი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი. საჭირო არ უნდა იყოს იმის განმარტება, თუ რაოდენ საშიშ მადესტაბილიზებელ ზეგავლენას ახდენს ეს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე, — მით უმეტეს, როცა ასე იქცევა დიდი, გავლენიანი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, რომლისაგანაც ხალხები აწონ-დაწონილ და პასუხისმგებლურ პოლიტიკას უნდა მოელოდნენ.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება სულაც არ მოგვაყენებს ისეთ ვნებას, როგორის იმედიც აქვთ მის ინიციატორებს. ის ცინიკური გაანგარიშებანი, რომ საბჭოთა კავშირს „გაუუარეს-ბა“ სასურსათო მდგომარეობა, თუ შეერთებულმა შტატებმა მარცვლეული აღარ მოგვყიდა, — ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ფრიად ბუნდოვან წარმოდგენაზეა დაფუძნებული. საბჭოთა ხალხს აქვს იმის წელი, რომ მშვიდად იცხოვროს და იშრომოს, შეასრულოს დასახული გეგმები, გაიუმჯობესოს კეთილდღეობა. კერძოდ, მე შემიძლია აღგითქვათ, რომ არც ერთი კილოგრამით არ შემცირდება საბჭოთა ადამიანების პურითა და პურეულით უზრუნველყოფის გეგმები.

მაგრამ ჩვენი რწმენით, ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედება სხვა არა არის რა, თუ არა მოუზომავი ცდა გამოიყენონ ავღანეთის ამბები იმისათვის, რომ ჩაახშონ საერთაშორისო მეცადინეობა ომის საფრთხის შესუსტირებლად, მშვიდობის განსამტკიცებლად, გამალებული შეიარაღების შესაზღუდად, — ერთი სიტყვით, ჩაახშონ ის, რითაც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული მთელი კაცობრიობა.

ცალმხრივი ღონისძიებანი, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს, სეროზული პოლიტიკური შეცდომების ტოლფასია. და ისინი, დღეს თუ ხვალ, ბუმერანგად დაუბრუნდება იმათ, ვინც წამოიწყო.

და თუ ჩვენს პოლიტიკაზე ამ წვრილმანი თავდასხმებით ჩვენი სიმტკიცის გამოცდა მოუწადინებიათ, მაშასადამე საერთოდ დავიწყებიათ ისტორიის გამოცდილება. როცა 1917 წელს მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფო იშვა, ჩვენს ხალხს არავისთვის არ უთხოვია ამის ნებართვა. იგი ახლაც თვითონ გადაწყვეტს, თუ რა კანონებით იცხოვროს. იმპერიალიზმმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიყვაზე დაგვიპირა შემოწმება, და ყველას ახსოვს, თუ რით დამთავრდა ეს. ჩვენს გატეხვას ცდილობდნენ ფაშისტი აგრესორები ყველაზე სისხლისმსმელ ომში, როგორიც კი გადაუტანია კაცობრობას. მაგრამ ისინი დამარცხდნენ. ჩვენ გვცდიდნენ „ცივი ომის“ წლებშიც, როცა უფსკრულისაკენ უბიძგებდნენ მსოფლიოს და ზედიზედ აჩაღებდნენ საერთაშორისო კრიზისებს. მაგრამ მაშინაც ვერავინ ვერაფერი დაგვაკლო. ფურგო არ იქნება, ყოველივე ეს დღეს რომ შეავახსენოთ.

კითხვა. როგორია, თქვენი აზრით, ევროპაში სიტუაციის განვითარების პერსპექტივები?

პასუხი. დღეს ევროპაში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე, ვთქვათ, 70-იანი წლების დამდეგს იყო. მაგრამ ვაშინგტონის უკანასკნელი უსახუხისმგებლო მოქმედების ნაყოფი, რა თქმა უნდა, აქაც ინერს თავს. შეერთებული შტატები არ სჯერდება იმას, რომ ლამის ყველაფერს ღონობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მოსაწამლად. მას სურს საბჭოთა კავშირს გაუფუჭოს ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ურთიერთობა, რომელშიც როგორც ცნობილია, უკანასკნელ ათწლეულში ბევრ სასარგებლო რამეს მიგაღწიეთ. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს სულისკვეთება დაარხი დაუნანოს ჭელსინკის საბოლოო აქტს, რომელიც კონტინენტზე უშიშროების განმტკიცებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების აღიარებული მიჯნა გახდა. და ბოლოს, თავისი ნაბიჯებით, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გამწვავება, ვაშინგტონი ცდილობს დაიბრაკუოს ევროპის სახელმწიფოები, პირველ რიგში — საკუთარი მოკავშირეები.

მაგრამ ევროპის ხალხთა ძირეული ინტერესები განუყრელად არის დაკავშირებული დაძაბულობის შენელებასთან. ევროპელებმა უკვე საკუთარი გამოცდილებით გაუგეს გემო მის ხასიკეთო ნაყოფს. ისინი — იმ კონტინენტის მკვიდრნი, რომელიც არაერთხელ გადაუბუგავს დამანგრეველი ომების ხანძარს, სულაც არ აპირებენ—ჩვენ ამაში დავრწმუნდით — დაადგნენ ავანტიურების გზას ოკეანისგადმელი პოლიტიკოსების კარნახით. დაუჭერიენ ელა, ევროპაში მოიძებნოს სახელმწიფო, რომელიც დაძაბულობის შენელების ნაყოფს ფეხქვეშ გაათელვინებდა ომს, ვისაც ეს მოერანება. ევროპაში დაძაბულობის შენელება დასავლეთის სახელმწიფოებს და თვით შეერთებულ შტატებსაც საკმაოდ როდი სჭირდებათ, ვიდრე სოციალისტურ ქვეყნებს, ვიდრე საბჭოთა კავშირს.

ევროპაში მალე ბევრი კონსტრუქციული რამ შეიძლება გაკეთდეს მშვიდობის სახარგებლოდ, კერძოდ, მადრიდის მომავალ შეხვედრასთან და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ მოეწყოს კონფერენცია სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხებზე. ჩვენ მტკიცედ მომხრენი ვართ იმისა, რომ დამკვიდრდეს და გამრავლდეს ყოველივე პოზიტიური, რაც წლობით იქმნებოდა ევროპის კონტინენტზე დიდი თუ პატარა სახელმწიფოების კოლექტიური გარჯით. ჩვენ კვლავაც გავაძლერებთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ვაშინგტონის ახლანდელი ექსტრემისტული პოზიციის საპირისპიროდ, ჩვენი პოზიცია ის არის, რომ განვაგრძოთ მოლაპარაკებანი, რომლებიც უკანასკნელ წლებში მრავალი მიმართულებით დავიწყეთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნით. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის შენელების პრობლემებსაც.

ვიმეორებ: ჩვენ მხარს ვუჭერთ მოლაპარაკებას, ოღონდ პატიოსანს, თანასწორუფლებიანს, რომლის დროსაც დაცული იქნება თანაბარი უშიშროების პრინციპი. სწორედ ამას ვგულისხმობდით, როცა ამ ცოტა ხნის წინათ წინადადება წამოვაყენეთ დაგვეწყო მოლაპარაკება საშუალო სიშორის ბირთვულ სა

ვიმუშაოთ ლენინურად, დამკვრელურად!

(დასასრული)

აქტიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მოსამზადებლად.

მომხსენებელმა და გამოსულებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის — 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი მიტად დაძაბულია. მნიშვნელოვნად მატულობს საქონლეული წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, იზრდება წარმოების აბსოლუტური მატება. ეს მოითხოვს დამატებითი რეზერვების გამოძებნას, მათ მაქსიმალურ გამოყენებას, სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1980 წელი უნდა გახდეს წარმოების რეზერვების დათვალიერების, მათი უსწრაფესად ამოქმედების წელი. ითქვა, რომ საჭიროა ხელის შრომის ყოველმხრივი მექანიზაცია; მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მუშაობის მეცნიერულ ორგანიზაციას, შრომის რესურსების უფრო სრულად გამოყენების პრობლემის გადაჭრის გზების აქტიურ ძებნას; უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შეუფერხებლად უზრუნველვყოფდეთ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სახალხო მეურნეობის ყველა რგოლსა და სფეროს.

აღინიშნა, რომ ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა ყოველნაირად გამოვიყენოთ შრომითი კოლექტივების საქმიანობის ყველა რგოლში პარტიული, პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის შეძენილი გამოცდილება.

კრებაზე ითქვა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ღონისძიებანი განხორციელდეს ელექტროენერგიის, ყველა სახეობის საბობის მომჭირნეობისათვის, მათი წარმოების გადიდებისათვის. კრების მონაწილეებმა მოსთხოვეს ამიერკავკასიის რკინიგზის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, „საქსახკომსოფლტექნიკის“ კოლექტივებს უზრუნველყონ ისეთი ტვირთის შეუფერხებელი გადაზიდვა, როგორიც სათბობია. აღინიშნა, რომ ქალაქებსა და რაიონებში არის ამ რესურსების არამწარმოებელური ხარჯვის ფაქტები. ბევრ შემთხვევაში ეს გამოწვეულია იმით, რომ შესაბამისმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ მათი გამოყენებისადმი.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს კულტურული და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის განვითარების საკითხებს. აღინიშნა რუსთავის „დიდი ქიმიის“, ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა ობიექტების მშენებლობა დადებითი მუშაობა. სამწუხაროდ, მათი გამოცდილება ფართოდ ვერ გავრცელდა რესპუბლიკაში. ამიერიდან საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, მშენებლობის მთელი საქმიანობა დავუქვემდებაროთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა განხორციელების ზუსტ თანამიმდევრობას და არა საერთოდ მუშაობის მოცულობის შესრულებას ფულადი გამოხატულებით.

ამასთან ითქვა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ბინების დროულ და ხარისხოვან გადაცემას საექსპლოატაციოდ. თბილისს, გორის, ცხინვალის სახლთსაშენებელი კომბინატების სამშენებლო მოედნებზე ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა საცხოვრებელი სახლების დამონტაჟების ტექნოლოგია.

კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს. რესპუბლიკაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პროცესის მართვაში გარკვეული სისტემა შეიქმნა. მაგრამ ეს მუშაობა კიდევ უფრო მიზანმიმართული უნდა გახდაოთ და 1980 წელს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა 21 პროცენტამდე გავადიოთ.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ სერიოზული წარმატებანია მიღწეული სოფლის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. განუხრელად იზრდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა, შესამჩნევად გაიზარდა პროდუქტიულობა. კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები დგას სოფლის მშრომელთა, განსაკუთრებით მეკვანახეთა და მეხილეთა წინაშე 1980 წელს — უნდა დამზადდეს 770 ათასი ტონა ყურძენი და 460 ათასი ტონა ხილი. მხვნელმთესველებმა მარცვლეულის წარმოება უნდა გახარდონ მოსავლიანობის გადიდების გზით, პირველ რიგში სარწყავ მიწებზე, სიმინდის მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიის ფართოდ გამოყენების, მინერალური სასუქების, სარწყავი წყლის ეფექტიანი გამოყენების მეოხებით.

მეჩაიეობაში, ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა-ვალდებულებების შესრულებასთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებას. მეციტრუსეთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ყინვებისაგან ნარგავების დაცვის, ციტრუსების გასაშენებლად გამოსადეგი ფართობების გამოყოფისა და მომზადების, ლიმონარიუმების მასშტაბური მშენებლობისათვის მზადების შემუშავებულ ღონისძიებათა რეალიზაცია.

დიდი ამოცანები დგას რესპუბლიკის მეცხოველეების, მებოსტნეების, მეკარტოფილეების, მეჩაი-რხლეებისა და მეთამბაქოეების წინაშე.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დამკვრელური, ლენინური მუშაობის წლად გამოცხადებული 1980 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ძალების მაქსიმალური დაძაბვით შრომა. მათ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ისევე როგორც ხუთწლედის წინა წლებში, რესპუბლიკა წარმატებით შეასრულებს დასახულ პროგრამას, შექმნის კარგ საფუძველს მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებული სტარტისათვის, ახალ მწვერვალებს მიაღწევს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში და ამით ღირსეულად აღნიშნავს XXVI კრებას.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

კრების მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს სსრ მშრომელთა 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, „ალიოტის“ ბანკის, ბაკურიანის, ბაკურიანის, ბაკურიან

ბავშვის თვალით

ძველია გამოყო რომელიმე ნამუშევარი ამ ალბომიდან, რომელსაც საოცრად უხდება სახელწოდება — „გულიდან გულში“. ალბომში შეკრებილია 7-10 წლამდე ქართველ ბავშვთა ნახატები ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწის“, „ალორძინებისა“ და „ყამირის“ თემებზე.

225 ავტორია წარმოდგენილი ამ ალბომში, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა.

ზუსტად 225 დღეს გრძელდებოდა მცირე მიწის გმირული დაცვა... ახლანდელმა თაობამ ომის ამბები უმეტესად იცის წიგნების, ფილმების მეშვეობით. ბავშვის წარმოდგენა უშუალო და ემოციურია, და როგორც ალბომიდან ჩანს, მათ იტაცებს საბჭოთა მეომრების გმირული შემართება. როცა მცირე მიწის მამაც დამცველებს ხატავდნენ, ეტყობა, ბავშვები ყოველთვის ვერ იცავდნენ მხატვრულ კანონებს, სამაგიეროდ გულწრფელობასა და ფანტაზიაში მათ ვერავინ ვერ შეეცილება.

...დამთავრდა ომი, და საბჭოთა ხალხმა დაიწყო მშობლიური მიწის აღორძინება. ნახატები, რომლებსაც ალბომის თითქმის ნახევარი უკავია, ეძღვნება ჩვენი მიწა-წყლის სიდიადეს. ყოველი ნამუშევრისათვის დამახასიათებელია ნათელი, კეთილი მსოფლშეგრძნება, სიამაყე თავისი საშობლოსათვის, მშრომელი ხალხისათვის, თავისი დედ-მამისათვის.

ალბომს ამთავრებს სერია, რომელიც ყამირის ეპოპეას ასახავს. ნორჩი მხატვრები აღტაცებით წარმოგვიდგენენ ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელთა — უაზახეთის მიწის უკიდეგანო სივრცეების დამპყრობთა გმირულ შრომას. მათ შორის არიან ქართველებიც. აი თბილისის უნივერსიტეტის დოცენტის ნოდარ ნოდიას პორტრეტი, რომელმაც სიცოცხლე არ დაიშურა ცეცხლისაგან პურის გადასარჩენად...

— ფურცლავ ალბომს, და გგონია, რომ ისინი ამ ამბების მონაწილეებს დაეხატოთ. ბავშვებმა თემად აირჩიეს ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები — საბჭოთა ხელმძღვანელის გულიდან ამომავალი დიდი სიმართლე დამკვიდრდა ბავშვების კეთილ გულში. ამ ალბომით გამომცემლობა იწყებს სკკპ მომავალი, XXVI კრილობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოშვებას.

წიგნ-ალბომის რედაქტორია ჟამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე. (ხაქინფორმი).

* * *

სურათებზე: ილუსტრაციები ალბომიდან.

ხვალ, 14 იანვარს ქართული თეატრის დღეა. განახლებული ქართული რეალისტური თეატრის 130-ე წლისთავთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე:

ქართული თეატრის დღის აღნიშვნა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ტრადიციად იქცა. გასულ წლებში ეს ზეიმი აღვნიშნეთ ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმში, მახარაძეში, ზუგდიდში. ამჟამად იგი ცხაკაიაში გაიმართება. ამ ქალაქში კარგი ხანია საინტერესო წარსულის მქონე სახალხო თეატრი არსებობს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ცხაკაია გამოჩენილი ქართველი მსახიობის აკაკი ხორავას შშობლიური კოთხეა.

დღეს, 13 იანვარს, ცხაკაიის სახალხო თეატრისა და თბილისის მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობების, მათ შორის ვ. ანჯაფარიძის მონაწილეობით, ცხაკაიელთა სცენაზე წარმოდგენილი იქნება ა. ჩხაიძის „პიესა „შთამომავლობა“. ცხაკაიას ესტუმრება თეატრალური ხელოვნების ასზე მეტი მუშაკი. მოეწყობა შეხვედრები ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მშრომელებთან, კოლეგიურნეებთან, რომლებსაც წარმოდგენებს უჩვენებენ სპეციალური მხატვრული ბრიგადები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ შარშან არა ერთი კარგი სპექტაკლით გავიხარეთ და, რაც მთავარია, ქართული ორიგინალური დრამატურგია დომინირებდა. აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ თ. ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე“, ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“, ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, გ. ბათიაშვილის „ვალი“ და ა. შ. გამოჩნდა ნიჭიერი დრამატურგი ქალი ლ. როსება, რომლის პიესა „პრემიერა“ ახლახან წარმატებით დადგა მარჯანიშვილელთა სცენაზე რეჟისორმა მ. კუჭუხიძემ.

სასიხარულოა, რომ ამ სპექტაკლში მაყურებელმა დაინახა თავისი თანამედროვენი, იგრძნო მათი ტკივილი და სიხარული.

ორმოცი წელია, რაც ქართული საოპერო თეატრის სცენაზე არ დადგმულა ჯ. ვერდის „ოტელო“. საინტერესოა, რომ „ოტელო“ პირველად 1888 წელს დაიდგა მილანში, ხუთი წლის შემდეგ კი თბილისში, მერე პეტერბურგში.

თავის დროზე თბილისში დიდი წარმატება ხვდა წილად რეჟისორების ა. ჩხარტიშვილისა და ნ. კვალიაშვილის მიერ დადგმულ „ოტელოს“.

და აი, მალე ამ ოპერის პრემიერას ვნახავთ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მე, როგორც დამდგმელი რეჟისორი, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ახალ დადგმაში ოტელოს პარტიას იმღერებენ ზ. ანჯაფარიძე და ნ. ანდღულაძე, დეზდემონას — მ. ამირანაშვილი.

არაერთხელ აღნიშნულა, თუ რა სასიკეთო საქმეს აკეთებს ჩვენი „მეგობრობის თეატრი“. შარშან ამ თეატრის წყალობით არაერთი საინტერესო კოლექტივი და სცენის ოსტატი გაიცნეს რესპუბლიკის მშრომელებმა. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩვენი თეატრის დღევანდელი სახეც წარმოვაჩინეთ. ამა, როგორ არ გავიხსენოთ რუსთაველელთა ტრიუმფი ედინბურგის ფესტივალზე, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გასტროლები მოსკოვში, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრისა — ლენინგრადში.

მაგრამ ეს ყოველივე შარშან იყო, და ჩვენ უფრო მეტს მოველით ამ სეზონისაგან. ქართული თეატრის დღევანდელი დონე გვაფიქრებინებს, რომ მოლოდინი გამართლდება.

ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ქართული თეატრის დღე მივულოცო მის ყველა მუშაკსა და მოღვაწეს, მაყურებლებს, რომლებისთვისაც ჩვენი სასცენო ხელოვნების ავ-კარგი სისხლხორცეული საქმეა.

ხაუბარი ჩაწერა
ლ. ქინქლაძემ.

14 იანვარი მსახიობთა საყვარელი დღეა. ალბათ ყველას თავისებურად უყვარს ეს დღე... პირადად მე იმიტომაც მიყვარს, რომ ამ დღეს ვიგონებთ ხოლმე თეატრიდან წასული უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მათ შემოქმედებითს გზას, მათ თავისებურებებსა და განუმეორებელ თვისებებს.

არ გეგონოთ, პესიმისტი ვიყო და იმიტომ ვიყურებოდე უკან. არა. ამ ერთ დღეს — თეატრის დღეს, 14 იანვარს, ვუთმობ მათ ხსოვნას, ვისთანაც მე გავატარე ჩემი ცხოვრების გარკვეული წლები და მინდა მათი ცხოვრებისეული, ადამიანური თვისებები ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს გავუზიარო ხოლმე.

...მახსოვს ძია ნიკო (გოცირიძე), ყველაზე უფროსი კაცი ჩვენს თეატრში. მას ყველა პატივს სცემდა, შეხუმრებასაც ისე იოლად ვერ უბედავდნენ, მაგრამ გიორგი შავგულიძე მისი სუსტი მხარე იყო... მაგონდება, „მეჯღანუაშვილში“ ძია ნიკოს რადაც დაავიწყდა.

— ვა, კაცო, იმას რა ჰქვია?...

შავგულიძე მაგიდის ბოლოდან გამოსძახებდა:

— კიტრი, ოჰანეზ ნიკიტიჩ...

ჩაბქირდებოდა ძია ნიკო, ხმას ვეღარ იღებდა, გამოვიდოდა სცენიდან და შავგულიძეს ეტყოდა: ვაჰ, შე, ყურუმსაოო, აოარ მომეშვები, კუშინ აქლემოო, დღეს კიტრიო... ხომ იცი, რომ ვფუჭდები, თავი დამანებე, რა...

დიდა ლიზა! (ასე ეძახდა ყველა ჩერქეზიშვილის ქალს) რაშიც თამაშობდა, ყველაფერში ქართული კაბითა და ჩიხტაპოპით გამოდიოდა, სხვა ტანსაცმელი მის ტანზე არ მინახავს არც სცენაზე და არც ცხოვრებაში. და სულ განაწყენებული იყო, რატომ ყველა პიესაში არა ვთამაშობო; თუ თავისუფალი იყო თეატრიდან, სხვაგან მიიჩქაროდა სათამაშოდ, რატომღაც ძალიან უყვარდა თეატრი. დამინახავდა თუ არა, დამძახებდა: ტრიპოლოკი, თავისუფალი ხარ? მოდი, ხვალ თელავში წავიდეთ, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ვითამაშოთო...

თეატრის მამა და მასწავლებელი — ასე შეარქვეს თეატრში შალვა ღამბაშიძეს; მართლაც ყველასთვის მამასავით იყო. ეს იყო უწმინდესი და უსპეტაკესი კაცი, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს მსახიობს თეატრი...

შალვა დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო... არ გაპატიებდათ, თქვენი ნებით რაიმე შეგეცვალათ წარმოდგენაში. არათუ მიზანსცენა და კოსტიუმი, თვით წვრილმანიც კი— მით უმეტეს, მარჯანიშვილისეულ წარმოდგენაში. „ურიელ აკოსტა“ მიდის... რაბინების სცენაა... რაბინებს აცვიათ გრძელი კაბები, უკეთიათ უშველებელი წვერ-ულვაში, ისე რომ, ძნელიც არის მსახიობის ცნობა. აცვიათ უძირიოები, რაც ცოტა ძნელი ჩასაცმელია, თანაც კრძელ სამოსში არც მაინცდამაინც მოჩანს, სკვნაზე დგანან სილვა — ღამბაშიძე, ურიელი — კობახიძე, რაბინები... უცებ ბატონ შალვას შეუმჩნევია, რომ ერთერთს თავისი ფეხსაცმელები აცვია, მიაჩერდება ხან რაბინს, რომელიცაო, ხან ფეხსაცმელებს. ვერა და ვერ იცნო მსახიობი... მსახიობიც მიხვდა, რომ მას და მის ფეხსაცმელებს დაადგა თვალი ბატონმა შალვამ (ეს ავთანდილ ვერულეიშვილი გახლდათ). სცენა მთავრდება იმით, რომ ურიელი მირბის და რაბინებიც მისდევენ. ფარდა დაიხურა თუ არა, იყვირა ღამბაშიძემ: ყველა რაბინი ფოიეში შემოვდგესო. ვერულეიშვილი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, უცებ შეეარდა თავის ოთახში, რის ვაი-ვაგლახით გამოიცვალა ფეხსაცმელები და [illegible] ...ბატონ? გაბოლავართ-მეთქი. სანამ ღამბაშიძე ფოიეში შე[illegible] და, ვერულეიშვილი უკვე [illegible] იყო.

— აბა, ჩამწკრივდით რაბინები, — ბრძანა შალვამ, კმაყოფილმა, რომ „გამოიჭირა“ თეატრის წესების დამრღვევი და შავ დღეს დააყრის, — აბა, აიწიეთ კაბები!

ყველამ აიწია კაბა. ჩამოუარა. გაოცდა, ერთნაირი ფეხსაცმელები აცვიათ!

— სულ რამდენი რაბინი ხართ პიესაში? — დაიკვლა იგი.

— ექვსი, ბატონო შალვა!

დათვალა, — ექვსი რაბინია...

ეუბნოს, ჩამოუვლის, ყველაფერი წესრიგშია... შეჩერდა, ამოიოხრა და უცებ ვედრებით თქვა: სიმართლე მითხარით, რომელს გეცვათ საკუთარი ფეხსაცმელი და გეფიქრებით, არაფერს გიტყვითო.

...ომის წლებში მიწის ნაკვეთები დაგვირიგეს საბურთალოზე. შავგულიძემ მთხოვა, მოდი, შეგამხანაგდეთ, ჩემი ნაკვეთი ორიგემ დავამუშაოთო. მეც დავთანხმდი... ერთ დღეს ავვარდით, ჩვენი ნაკვეთიც დავბარეთ, სხვასაც მივეხმარეთ და წამოვედით. მას შემდეგ აღარც მივსულვართ... კარგა ხნის შემდეგ მივაკითხეთ და [illegible] ...ბატონ? გაბოლავართ-მეთქი. [illegible] ...ბატონ, [illegible] ...ბატონ, [illegible] ...ბატონ,

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲐᲕᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲔᲠᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ — ᲡᲐᲛᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ კონსერვატორიის დიდ დარბაზში მორიგი კონცერტი გამართა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა ორკესტრმა. სადირიჟორო პულტთან იდგა ახალგაზრდა დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, რომელმაც თავისი ხელოვნებით, გააზრებული და დახვეწილი სადირიჟორო ტექნიკით მოხიბლა აუდიტორია.

ორიოდე წლის წინაც გვქონდა საშუალება მოგვესმინა ვ. მაჭავარიანის მიერ ინტერპრეტირებული ნაწარმოებები. ხოლო ამ კონცერტმა ნათელყო, რომ დირიჟორი გაზრდილა როგორც ხელოვანი, დაოსტატებულა, შინაგანად დასრულებულა...

კონცერტის პროგრამა მოიცავდა სამ ავტორს, სამ სხვადასხვა ეპოქას, სტილს, წერის მანერას... დირიჟორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მშვენივრად გაიაზრა კომპოზიტორთა ინდივიდუალობა, ჩასწვდა ნაწარმოებთა მხატვრულ შინაარსს, მთელი სიცხადით გამოხატა ავტორთა სიმფონიური აზროვნების თავისთავადობა, განუმეორებლობა, ნაწარმოებთა დიდი მხატვრული ღირსება...

პირველი განყოფილება ბეთჰოვენის V სიმფონიის (დო-მინორი) დაეთმო. დირიჟორმა გვაგრძნობინა ბეთჰოვენის მუსიკის ძალა, კარგად გაშალა „ბრძოლისა და გამარჯვების“ სიმფონიის ფილოსოფიური კონცეფცია, შესანიშნავად მიიტანა მსმენელამდე კომპოზიტორის ჩანაფიქრი, ნაწარმოების ფსიქოლოგიური სიღრმე და დრამატიზმი.

დიდი ტემპერამენტი და ახალგაზრდული სული ჩაქსოვა ხელოვანმა რ. ვაგნერის ოპერის „ტრისტან და იზოლდას“ შესავალს, ლირიკულ-ფსიქოლოგიური მუსიკის ამ საუცხოო ნიმუშში ხომ მთელი ძალითაა გადმოცემული გმირთა სულიერი დრამა. „ყველაფერი ამაოა! უძლურად ვშვება გული, რათა განზავდეს წუხილში“ — ასე განმარტა შესავლის შინაარსი თვით რ. ვაგნერმა. ნიჰიერმა დირიჟორმა მშვენივრად გაიაზრა ყოველივე, მან საწყისი ტაქტებიდანვე შექმნა გრძნობათა უკიდურესი დაძაბულობა, განავითარა დინამიკური ტალღა, მძლავრად ააღიერა კულმინაცია.

დიდი ინტერესი გამოიწვია სიუიტამ ი. სტრავინსკის ბალეტიდან „ფასკუნჯი“, ვინაიდან იგი იშვიათად სრულდება ჩვენს დედაქალაქში. ორკესტრმა ვ. მაჭავარიანის ინტერპრეტაციით მშვენივრად გვაგრძნობინა ავტორის სტილი, — სიახლის ძიებანი, სტილისტური ხერხების სითამამე, კარგად წარმოსახა ნაწარმოების დრამატურგიისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი — საოცარი ფერადოვნება, კონტრასტულობა... განსაკუთრებით გამოვყოფდ კულმინაციურ მომენტს — „კაშჩეის სამეფოს უწმინდური ცეკვა“, სადაც ფანტასტიკური სამყაროს ორი ელემენტი — ფასკუნჯისა და კაშჩეის ლაიტმოტივები ერწყმის ერთმანეთს.

კონცერტმა ცხადყო, რომ ვახტანგ მაჭავარიანის სახით ეროვნულ სადირიჟორო სკოლას შეემატა ახალი საიმედო ძალა, სხვადასხვა სტილისა და ეპოქის ნაწარმოებთა ნიჭიერი ინტერპრეტატორი.

ᲔᲗᲔᲠ ᲚᲝᲜᲓᲐᲠᲘᲫᲔ,
მუსიკათმცოდნე.

ᲞᲠᲝᲖᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲮᲜᲓᲝᲛᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სახლის დიდ საკატო დარბაზში ამას წინათ გაიმართა ქართული ლიტერატურის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გრ. აბაშიძე, კ. ალადაე, ი. ნონეშვილი, ჯ. ჩარკვიანი, გ. ასათიანი, მ. ქვლივიძე, ო. ჭილაძე, ხ. გაგუა, გ. გულია, ა. რეკემჩიკი, ი. გრინბერგი, ა. უვაროვი, ბ. ახმადულინა, ვ. მაჭავარიანი, ა. მარჩენკო, ნ. ივანოვა, ა. იბანოიძე, ა. ამოაშვილი, ე. ანანიაშვილი, ს. რასადინი.

საბჭოს სხდომა გახსნა მწერალმა ა. რეკემჩიკმა. სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრ. აბაშიძემ. მან აღნიშნა, რომ ქართული ლიტერატურის საბჭოს უკანასკნელი სხდომას თავმჯდომარეობდა გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი კ. სიმონოვი. იგი წლების მანძილზე იყო ამ საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე და მისი პირადი თაოსნობით გამართა ბევრი საინტერესო ლიტერატურული საღამო და ღონისძიება.

— დღეს ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ მის არყოფნას, — თქვა გრ. აბაშიძემ. მეგობრებმა ფიზზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი სცეს კ. სიმონოვის ნათელ ხსოვნას.

მოხსენება თემაზე — „ქართული პუბლიცისტიკა“ გააკეთა ვ. მაჭავარიანმა. შემდეგ განიხილეს მწერალ ო. ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მდიოდა“, რომლის რუსული თარგმანი მაღალი პროფესიული ოსტატობით შეუსრულებია ე. ანანიაშვილს. კამათში გამოსულმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა ი. გრინბერგმა, ს. რასადინმა, ბ. ახმადულინამ, გ. ასათიანმა, ა. მარჩენკომ, ნ. ივანოვამ, ე. იბანოიძემ, ა. ამოაშვილმა, ა. უვაროვმა აღნიშნეს, რომ რომანი საყურადღებო მოვლენაა ქართულ და მთელ საბჭოთა ლიტერატურაში.

რომანში საოცრად არის ერთმანეთთან შეხამებული პოეზია და პროზა, იგრძნობა ჰარმონიული დინება, გმირები დაჯილდოებული არიან უხვი და მდიდარი ადამიანური ნებებით.

Დ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲜᲐᲮᲕᲝᲕᲜᲘ

ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘᲐ?

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ, ქართული წარმოშობის ერთ ოჯახში ინახება მეტად საინტერესო ნაპოვნი. მას შემდეგი ისტორია აქვს: რამდენიმე წლის წინათ, ოჯახის ერთ-ერთი წევრი საფრანგეთიდან ესპანეთში ბრუნდებოდა. გასაკვირი დასახლებულ ქვემო პირინეის დეპარტამენტში, ესპანეთ_საფრანგეთის საზღვართან მანქანა გაუჩერდა და იძულებული გახდა გარეთ გადმოსულიყო. გზის პირას ბავშვები მეომრის ფიგურით თამაშობდნენ, რომელიც მიწაში ეპოვათ სახლის მშენებლობის დროს. ფიგურას სადგარზე ლათინური ასოებით იყო ამოტვიფრული მოქანდაკის გვარი — „ნ. ჟაკი“, მაგრამ თვით მეომარი აშკარად არ ჰგავდა ევროპელს. უპირველეს ყოვლისა, უურადღებას იქცევდა კავკასიელებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები. ამიტომ ეს ქანდაკება შეიძინეს და პირობითად „ქართველი“ უწოდეს. ჩვენმა თანამოქალაქემ მარიან ბაგრატიონმა ამ ქანდაკების ფოტოსურათები ჩამოგვიტანა. ჩვენ წინაშეა მეომარი, რომელიც მთელი თავისი იერით, იარაღის ჭერისა და დგომის მანერითაც კი საოცრად ჰგავს ქართველს. სპეციალისტთა აზრით, მისი ჩაცმულობა და აღჭურვილობა, კერძოდ, ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი, ხმალი, ხანჯალი, მასრები, სამკლავე, წუღები და პაიჭები — ქართულ-კავკასიურს მიეკუთვნება. მარჯვენა ხელს ყმაწვილი უფარავს, მარცხენა კი თავისუფალი აქვს. დათარიღებისათვის მეტად მნიშვნელოვანია დამბაჩა. როგორც ვიცით, ცეცხლსასროლი იარაღი XVI საუკუნის შემდეგ ჩნდება. მებრძოლის ჩოხა ცოტა მოკლეა, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ქანდაკების ავტორი უცნობელია. სავსებით დასაშვებია, რომ მან ვერ აღიქვა ქართული კოსტიუმის ყველა ნიუანსი. კოსტიუმის სპეციალისტის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ე. ბეზარაშვილის აზრით, ჯაჭვის პერანგზე ზემოდან გადაცმული ჩოხის საშუალებით მოქანდაკე ხაზს უსვამს მეომრის კავკასიურ წარმოშობას. შესაძლებელია, რომ აქ ერთგვარი სტილიზაციაა. ამავე დროს, როგორც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი კ. ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, ქართველები ხშირად ატარებდნენ ფაფუტ საჭურველს. საყურადღებოა ისიც, რომ ჯაჭვის პერანგი ქობასთან ჩაჭრილია. ჩაჭრის წესი კი საქართველოში იყო გავრცელებული. ტანსაცმელს აღიკვეფდნენ იმ მიზნით, რომ ბრძოლის დროს მოძრაობისას ხელი არ შეშლოდათ. ასე, მაგალითად, ვახტანგ გორგასალს ჯაჭვის პერანგი იღლიასთან ჰქონდა ჩაჭრეული, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

საკმაო სიძნელეებთან არის დაკავშირებული ავტორის ვინაობის დადგენა. როგორც აღვნიშნეთ, მოცემული ვაქვს წარწერა „ნ. ჟაკი“. ცნობილია ორი მოქანდაკე ნიკოლა ჟაკის სახელით. XVII-XVIII საუკუნეებში საფრანგეთის ქალაქ რეიმსში ცხოვრობდა მოქანდაკეების ოჯახი. ნიკოლა ჟაკ I (1578-1649), მისი შვილი ფრანსუა და შვილიშვილი ნიკოლა ჟაკ II (1657-1726). ნიკოლა პირველს აღიარება მოუტანა ლუდოვიკ XIII_ის ვეებრონელი ქვის ქანდაკებამ, რომელიც ამ უკანასკნელს ტახტზე ასვლასთან დაკავშირებული ზეიმისათვის იყო განკუთვნილი. ამის შემდეგ ნიკოლა I ბევრ შეკვეთას ღებულობდა. იგი ქმნის 6 მოციქულის ქანდაკებას, რელიეფს მხედრის გამოსახულებით, არქიტექტურულ დეტალებს და სხვ. ნიკოლა II_ის შემოქმედება ასეთი მრავალფეროვნებით არ ხასიათდება. მას მიაწერენ რეიმსის მუზეუმში დაცულ გოგონას და ბიუის პატარა ფიგურებს. თუმცა არის აზრი, რომ ისინი ფრანსუა ჟაკმა ჩამოასხა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თვით ამ მოქანდაკეების საშობლოშიც კი ყველაფერი როდია გარკვეული მათ შესახებ, რაც ართულებს ჩვენს ამოცანას. ამ ხელოვანთა მოკლე ბიოგრაფიებში არ გვხვდება ცნობა კავკასიაში მათი მოგზაურობის შესახებ. მაგრამ ქართველისა თუ კავკასიელის ნახვისა და გაცნობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ქანდაკების შექმნა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ან ნ. ჟაკი ყოფილა საქართველოში, ან საფრანგეთში ჰქონდა შემთხვევა ეხახა ჩვენი თანამემამულე. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს საქართველოსა და საფრანგეთის კულტურული ურთიერთობის უცნობ მომენტთან. ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას რაიმე ჰიპოთეზების წამოყენებაზე და მეცნიერულ დასკვნებზე. ვაქვეყნებთ ამ მოკლე ინფორმაციას ქანდაკების სურათთან ერთად და ვიმედოვნებთ, რომ იგი ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქანდაკება დღემდე არ უნახავს არც ერთ სპეციალისტს და ქართველი საზოგადოებრიობა პირველად ეცნობა მას.

Მ. ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ.

ᲯᲘᲚᲓᲝᲛ ᲛᲝᲙᲔᲒᲜᲐ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (სკ. კორ. ვ. ცირეკიძე). დიდი სამამულო ომის მონაწილე ალექსანდრე ივანეს ძე ჯიჭია ფაშლის დამპყრობლებს პირველად მოზდოკთან შეება. იგი აქტიურად მონაწილეობდა კრასნოდარის, მარიუპოლის, მოლდავეთის და უნგრეთის განთავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლებში. თუმცა ორჯერ მძიმედ დაიჭრა, ა. ჯიჭიას ხელიდან არ გაუშვია შაშხანა, გამოჯანმრთელებისთანავე მწყობრში დგებოდა და ისევ ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა.

ახლახან გამოირკვა, რომ ქართველი მეომარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული ყოფილა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. საბრძოლო ჯილდო ომის ვეტერანს 34 წლის შემდეგ გადაეცა.

ᲔᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲐ

Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

„ᲝᲗᲮᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲖᲝᲛᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ მოსავალი მოვიწიეთ 1979 წლის სპორტულ შემოდგომაზე? რა ძვრები მოხდა ჩვენს ფეხბურთში? — აი ტრადიციული კითხვა, რომელიც ყველას გვაწუხებს ხოლმე საფეხბურთო სეზონის შემდეგ.

ალბათ ძნელად თუ გავიხსენებთ რომელმე ადრინდელ პირველობას, როცა ოთხ გუნდს ასეთი გააფთრებული კონკურენცია გაეწიოს ერთმანეთისათვის ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში, 34 ტურის განმავლობაში გათამაშების ცხრილს ხომ მონაცვლობით ხან „შახტიორი“ ედგა სათავეში, ხან თბილისის „დინამო“ და კიევის „დინამო“, ბოლოს კი „სპარტაკი“, რომლებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. და ეს მაშინ, როცა უკანასკნელ ჩემპიონატებში პირველი ტურებიდანვე ნათლად იკვეთებოდა ჩემპიონის პორტრეტი. წარმოიდგინეთ, საკავშირო ჩემპიონატის ხუთმა ფავორიტმა (სუ გამოვრიცხავთ მოსკოვის „დინამოს“) პირველობის ქულათა საერთო მარაგის 40 პროცენტზე მეტი (!) დაგროვეს. ეს კი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ საბჭოთა ფეხბურთში კვლავ გამოჩნდა მოწინააღმდეგეთა კოპორტა, რომელიც მომავალში ქვეყნის ნაკრების საიმედო ბაზისად უნდა იქცეს. სასიამოვნო სიახლედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მკვეთრად იმატა გატანილი ბურთების რიცხვმა, რომ ახლანდელი ჩვენი მთავარი ბომბარდირი ვ. სტარუხინი („შახტიორი“) ძველი თაობის თავდამსხმელების კეთილ ტრადიციებს იმეორებს.

ამ დადებით ძვრებში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „სპარტაკის“ როლი, რამაც იგი ღირსეულად აიყვანა კიდეც ჩემპიონის საფეხურზე. ეს ახალგაზრდული, ფიზიკურად კარგად მომზადებული და შეთამაშებულ-შეხმაბლებული კოლექტივი ყველ მატჩს ერთნაირი სერიოზულობით ეკიდებოდა და შეტევასას ცდილობდა, რაც შეიძლება მწვავედ ეთამაშა მეტოქის საჯარიმო მოედანზე. შეტევაზე მთავარი ყურადღების გადატანამ კი ის მისცა გუნდს, რომ მან ყველაზე მეტი ბურთი (66) გაიტანა, ხოლო მისი, არცთუ ისე ძლიერი დაცვითი ხაზი სხვებზე უფრო შეუფალი აღმოჩნდა (25 ბურთი საკუთარ კარში). მაგრამ, როცა ჩემპიონზე ვსაუბრობთ, ძნელია არ დაგებადოს შეკითხვა: არის კი ყოველივე ეს საკმარისი ევროპის დონეზე გამოცდების ჩასაბარებლად? ეჭსპერიმენტების ქომაგებისათვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უხერხული რომ არ აღმოჩნდეს, ცნობილი საფეხბურთო. მიმომხილველის ლ. ფილატოვის სიტყვები მოვიშველიოთ: „მე, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა „ეჭვიანს“, მგონია, რომ კიევისა და თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა კლასი უფრო მაღალია ვიდრე „სპარტაკისა“. ნათელია ის, რომ ახალ ჩემპიონს ჯერ კიდევ სჭირდება დაღვინება...“ და მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას „შახტიორზე“. მართალია, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ახლანდელი ვერცხლის მედლის მფლობელი სტაბილურად თამაშობს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადაჭრა მოწინააღმდეგის მოედნის პრობლემა. დონეცკელებმა შარშან საკუთარ მოედანზე მხოლოდ 2 ქულა დაკარგეს, მეტოქის მოედანზე კი — 18. მოწინააღმდეგის მოედანი მოულოდნელად აქილევსის ქუსლად იქცა თვით კიევის „დინამოსათვისაც“, რომელიც შარშან გასცლოდა მატჩებში შვიდჯერ დამარცხდა. როგორც ჩანს, ამ გამოცდილ გუნდშიც იკლო საკუთარი ძალების რწმენამ, რაც, უპირველეს ყოვლისა, წამყვან მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციების დაქვეითებით არის გამოწვეული. ამასთანავე ახალგაზრდები, რომლებიც გუნდში მოვიდნენ, თუმცა კი პერსპექტიულად ითვლებიან, წინამორბედებივით მაინც ვერ ბრწყინავენ. თაობათა ცვლის პროცესში კიეველებმა დაკარგეს მაღალი კლასის ოსტატები.

დიახ, უმთავრეს პრობლემას ვერსად გავექცევით. ეს არის მაღალი კლასის ოსტატების სიმცირე. სად გაქრნენ ისინი? — ნუთუ თვალსა და ხელს შუა, ბავშვებთან, მოზარდებთან და ახალგაზრდებთან არასწორი მუშაობის პირობებში, მცდარ საფეხბურთო კონცეფციათა და მოდარი გეგმების გადატანა ადგილობრივ ნიადაგზე? — ალბათ, ასეც არის. „ირბინე, იბრძოლე!“ — ყოველთვის იყო და დარჩება ფეხბურთელისათვის ერთ-ერთ უმთავრეს მოწოდებად, მაგრამ მარტოოდენ ამით ფონს გასვლა არასოდეს არ ყოფილა შესაძლებელი. ევროპის ჩემპიონატის შერჩევით მატჩებში, მეტადრე კი დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში, ჩვენმა ფეხბურთელებმა ბევრი ირბინეს და იბრძოლეს, მაგრამ ამან ნაყოფი ვერ გამოიღო. მეტი წარუმატებლობა რაღა გვინდა — კოლენენტის პირველობის შესარჩევ ჭვეჯგუფში ბოლო ადგილი დავიკავეთ. ალეცის, ჰ. მიულერის, რუმენიგეს, ფიშერისა და სხვათა ფონზე თავიანთი ოსტატობით ჩვენი ოლიმპიელებიც საკმაოდ ფერმკრთალები ჩანდნენ. ეს კი არადა, როგორც ჩანს, ამავე საკითხზე ყურადღება არ უნდა მოადუნოს ისეთმა გუნდმაც კი, როგორიც თბილისის „დინამოა“.

აი, თუ გნებავთ, საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამიტომ, სანამ მაღალი ინდივიდუალური მონაცემების ოსტატები არ გვყოლიბებიან, სასურველი შედეგებსაც ვერ მივაღწევთ. ჯანა არ გვიკარნახებს ეს, რომ ახალგაზრდა თეზბურთელებთან სწორი მუშაობა და ნაკრების კანდიდატების შერჩევა დიდ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს?

ᲠᲐᲮᲐᲜᲘᲐ, ფეხბურთის გულშემატკივრები მიეჩვევნენ თბილისელთა სტაბილურ, მაღალ შედეგებს. 1976 წელი — საკავშირო თასი და ბრინჯაოს მედლების ორი (საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატების) კომპლექტი, 1977 წელი — ვერცხლის მედლები, 1978 წელი — ოქროს მედლები, 1979 წელი — კვლავ საკავშირო თასი. ფრეთა ლიმიტი რომ არა, თბილისელები წელეულსაც ვერცხლის მედლებს დაეუფლებოდნენ, რაც ისინი ფაქტობრივად დაგროვილი ქულებით (50) იმსახურებდნენ.

მაგრამ, მოდით, „დინამოზე“ საუბარი მისი საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლით დავიწყოთ. წლევანდელი საფეხბურთო სეზონი გუნდის ისტორიაში ძირითადად ხომ ალსანიშნავი იქნება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობით, სადაც მან მეტად ძნელი, მაგრამ საჭირო გამოცდა გაიარა. ჩვენი ქვეყნის ნაკრების წარუმატებლობათა ფონზე თბილისის „დინამოს“ გამოსვლა ევროპის ამ საკლობო ტურნირში უდავოდ შთამბეჭდავი რომ იყო, ამას მტკიცება არ უნდა. „ლივერპულთან“ ჩატარებულმა ორმა შეხვედრამ გარკვეულწილად შეგვიმსუბუქა „ჰამბურგთან“ დამარცხებით გამოწვეული სინანული, თუმცა, ისევე კი — ამ უკანასკნელთან გამარჯვებაც ჰაერიოთ გვჭირდებოდა, გვჭირდებოდა თუნდაც იმისათვის, რომ ამაღლებული მოლოდინით და იმედებით აღსავსე ზამთარი გაგვეტარებინა, რომ მერვეფინალის მოჯადოებული წრე გადალახა.

შეეძლო თუ არა, ბოლოს და ბოლოს, თბილისის „დინამოს“ ბუნდესლიგის ჩემპიონის — ბაიერნ ლევერკუზენის ჩემპიონის — ამარცხებდა? არ შეეძლო? — იცოცხლეთ, წაგების შემდეგ ასეთი დასკვნის გამოტანა ყველაზე ადვილი იყოს. სადაც სიმართლეა, ისიც უნდა ითქვას, რომ გამოცდილებით, შეძენილი ვარსკვლავებით, სპორტული ფორმით „ჰამბურგს“ გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, გარკვეული კი არა, ალბათ ცალსახად, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ამის საკომპენსაციოდ დინამოელებს აც ჰქონდათ თავიანთი კოზირი და ნამდვილად შეეძლოთ უკეთესი თამაშის ჩვენება. ამის უარყოფა შეუძლებელია, რადგან გვახსენდება „ლივერპულთან“ გამართული ორი მატჩი, რომელთა შემდეგ ევროპელმა სპეციალისტებმა „დინამო“ მაღალი კლასის გუნდად აღიარეს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, „ჰამბურგთან“ დამარცხება სამარცხინო სრულიადაც არ არის, იგი უფრო მომავლის კარგი გაკვეთილია, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, საერთაშორისო თამაშების მეტი გამოცდილება რომ სჭირდება ჩვენს გუნდს.

საერთო ალრიცხვით, დინამოელთა გამოსვლა ევროპულ ტურნირში დადებითად შეფასდა: ასევე წარმატებით იასპარეზა. გუნდმა საკავშირო თასის გათამაშებაში (ეს სპორტული პრიზი მეორედ მოგვიპოვეთ) და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაშიც, სადაც საქართველოს ნაკრების სახელით ვერცხლის მედლები დაისაკუთრა.

ᲚᲐᲠᲩᲐ ეგრეთ წოდებული „მეოთხე ფრონტი“. მთავარი ტორნირი — ქვეყნის ჩემპიონატი. შარშან მარტოოდენ გულშემატკივრები კი არა, სპეციალისტებიც ერთხმად აღიარებდნენ თბილისის „დინამოს“ ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად.

და აი, ახლა უკმარობისა თუ სინანულის ეს გრძნობა....

რატომ მოხდა ასე?

ყველას კარგად მოეხსენება, რომ „დინამომ“ გასულ სეზონში სხვა გუნდებთან შედარებით გაცილებით მეტი ოფიციალური შეხვედრა გამართა: 34 — ჩემპიონატისა, 8 — საკავშირო თასისა, 7 — სპარტაკიადისა, 4 — ევროპული ტურნირისა. 53 მატჩში გუნდმა ქულათა მაქსიმუმის 74 პროცენტი დააგროვა (32 შეხვედრა მოიგო, 14 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 7 წააგო; გატანა 96 ბურთი და მიიღო 43). შედეგი, მართლაც რომ კარგია, მაგრამ „ოთხ ფრონტზე“ ბრძოლამ, რაც უჩვეულო იყო გუნდისათვის, მისგან დიდი ენერგია მოითხოვა. ჰოდა, ამით თითქოს ყველაფერია ნათქვამი, თითქოს ყველაფერს აქვს თავისი გამართლება.

თუ კარგად დაუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ევროპული ტურნირის მატჩების წინ „დინამომ“ საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრების ერთი ნაწილი საკუთარ შესაძლებლობებზე დაბალ დონეზე ჩაატარა, ზოგიერთ მათგანში აშკარად ხელიდან გაუშვა გამარჯვება. რა თქმა უნდა, ერთის წუთითაც არ გვავიწყდება მარათონული, ძნელი სეზონის პირობებში მოთამაშეთა ტრავმები (რაც, სხვათა შორის, გუნდის სამედიცინო სამსახურისაგან მეტ დაკვირვებას მოითხოვდა, რადგან იყო მომენტებიც, როცა ბოლომდე მოოშუშებული ტრავმები ხელახლა ახსენებდნენ თავს მოთამაშეებს). ტრავმებთან ერთად თვი იჩინა მოთამაშეთა ნერვულ-ფსიქოლოგიურმა დაქანცვამ, დროდადრო ნებისყოფის მოდუნებამ, რის გამოც წამყვანმა მოთამაშეებმა რამდენჯერმე „აკითელი ბარათი“ დაიმსახურეს და ამის შემდეგ რამდენიმე პასუხსაგები მატჩი გამოტოვეს.

დიახ, აშკარად გაგვიძნელდა ბრძოლა, მაგრამ, როგორც ჩემპიონატის ფინიშზე კიევის „დინამოსთან“ და ცსკა-სთან (უფრო ადრე „ზენიტთან“) ჩატარებულმა შეხვედრებმა გვიჩვენეს, საიმედო რეზერვიც გვყოლია. წლეულს პირველად ვიხილეთ ძირითად შემადგენლობაში მამინაშვილი (თასზე), დურდიაძე, კაკილაშვილი, მინაშვილი, თავაძე, ჯოხაძე, ცაცა, ბოლქვაძე (ჩემპიონატში). ზემოთ დასახელებულ თამაშებში ამ ახალგაზრდების ერთი ნაწილი ისე ამოუდგა მხარში გამოცდილ ფეხბურთელებს, რომ ზოგიერთი ლიდერის მოედანზე არყოფნა ლამის შეუმჩნეველიც კი გახდა. გადაჭრით რამეს თქმა ძნელია და უმთავრესად ალბათ, მაგრამ, ვინ იცის, უფრო მეტად რომ დაგვეტვირთა ახალგაზრდები ძირითად შემადგენლობაში, იქნებ, უკეთესი შედეგიც მიგვეღო. იმადება კითხვაც: მძიმე მარათონის პირობებში, იქნებ, სატურნირო „ბუღალტერიაში“ გაგვეპარა რაიმე დეტალი, იქნებ ყველაფერი სწორედ ვერ გამოვთვალეთ?

ასეც რომ იყოს, განვლილმა საფეხბურთო ბატალიებმა 1980 წლის არანაკლებ დაძაბული სეზონისათვის მაინც კარგი გამოცდილება შეგვძინა. და სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით არის, რომ მომავალს იმედის თვალით შევყურებთ.

Გ. ᲥᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Ჯ. ᲔᲜᲣᲫᲘᲫᲔ.

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲖᲔ

ᲓᲐᲪᲕᲐᲡ-ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ დამთავრდა ქალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური, რომლის შესახებ ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ესაუბრება მოსკოვის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, ცნობილი სპეციალისტი ᲔᲛᲔᲚᲘ ᲒᲝᲛᲔᲚᲡᲙᲘ:

— როგორი საერთო შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე განვლილმა ტურმა?

— ჩემი აზრით რიგის ტურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გუნდების უმრავლესობის დონე გათანაბრდა და ახლა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს კონკრეტული მატჩისათვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მეტოქისადმი დამოკიდებულება და გამარჯვებისაკენ სწრაფვა.

დღეს ცისკა უდავო ფავორიტია, მაგრამ იმის თქმა, თუ ვინ არის დანარჩენი ორი სპარიზო ადგილის ყველაზე რეალური პრეტენდენტი, ძალზე ძნელია. რიგაში ბრწყინვალედ ითამაშეს „ყალგარისმა“ და სტარტზე ხელმოცარულმა „ალგამ“, თუმცა მათს საბოლოო შედეგებზე საუბარი მაინც ნაადრევია.

— რომელ ქალათბურთელებს გამოიყოფდით რიგის ტურში?

— ერთი ან ორი ლიდერი თითქმის ყველა გუნდს ჰყავს: სკა-ს — მელეშკინი და სალნიკოვი, „სპარტაკს“ — პავლოვი და კაპუსტინი, „ყალგარისს“ — ლინკევიჩუსი, „სტატიბას“ — გირსკისი, ვეფს — ეიგერსონი, რომელიც ტურის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს. რაც შეეხება მოსკოველ და თბილისელ თანაკლუბელებს, აქ ყველა მატჩში ადამიანურ სიტყვას ცენტრალური თავდამსხმელები ფირიუკინი და ეიგლეი ამბობენ. ეიგლეი რიგაში საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარეს.

სამწუხაროდ ფირიუკინს ჯერჯერობით სრულფასოვანი ფუმოლოური არა ჰყავს. მართალია, გამოჩნდნენ პერსპექტიული ახალგაზრდები ბოროდაჩევი და მილოვიდოვი, რომელთაგანაც მე უფრო პირველისა მჯერა, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ნაკლებად სამეფოდონი არიან. ამიტომაც, შეხვედრების ბედი ხშირად ფირიუკინის „განწყობილებაზეა“ დამოკიდებული.

რაც შეეხება გუნდის კაპიტანს მიხეილ ქორჩილას, მე ვთვლი, რომ იგი ამ ქალათბურთელებს განეკუთვნება, რომელთათვისაც სპორტი ცხოვრების განყოფილი ნაწილია. მ. ქორჩილას შეიძლება თამაში არ გამოუვიდეს, ზოგჯერ ზემოქმედი ემოციური იყოს, მაგრამ უბრძოლველად არასდროს ტოვებს მოედანს.

— რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე, საერთოდ, თბილისის „დინამოს“ თამაშმა?

— თბილისის ტურში დინამოელთა თამაში არ მინახავს, რიგის ტურში კი გუნდმა მაინც ადამიანივ კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. კიევის არმიელებთან შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ეგრძნობოდა, რომ თბილისელებს დღეს მეტოქის ყალათის დალაშქვრა უფრო ესახელებათ, ვიდრე თავდაცვა. ეს კი დიდი ტრადიციების მქონე თბილისის „დინამოს“ არ ეპატიება.

Ჯ. ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Რ